მწვანე ალტერნატივა
გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „ემ ენ ქემიკალ ჯორჯია“-ს მანგანუმის ოქსიდის საწარმოს ტერიტორიაზე ახალი ტექნოლოგიური ხაზის (გოგირდმჟავას წარმოება) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

1 ივლისი, 2020

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ გვერდზე 2020 წლის 1 მაისს გამოქვეყნებულ შპს „ემ ენ ქემიკალ ჯორჯია“-ს მანგანუმის ოქსიდის საწარმოს ტერიტორიაზე ახალი ტექნოლოგიური ხაზის (გოგირდმჟავას წარმოება) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშზე.

შპს „სულფეკოს“ უარი უნდა ეთქვას წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებაზე შემდეგი მიზეზების გამო:

1. განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნებს და „ქალაქ რუსთავში, შპს ,,ემენ ქემიკალ ჯორჯიას'' გოგირდმჟავას საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის #2-1227 ბრძანებით დამტკიცებული სკოპინგის დასკვნის სავალდებულოდ შესასრულებელ პირობებს.

1.1. ალტერნატივები

1.1.1. არაქმედების ალტერნატივა/პროექტის საჭიროების დასაბუთება

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, უმოქმედების ალტერნატივა გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რაც საერთოდ უგულბელყოფილია განსახილველად წარმოდეგნილ ანგარიშში. გარდა ამისა, არაქმედების ალტერნატივა განხილულია მხოლოდ დადებითი კუთხით.

ამავე ქვეთავში მოცემულია პროექტის საჭიროების შესახებ ინფორმაცია. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, საწარმოში გამომუშავებულ პროდუქტს ძირითადად „რუსთავის აზოტი“ გამოიყენებს. ამ ქვეთავის და ზოგადად გზშ ანგარიშის პროექტის გაცნობის შემდეგ, ნათელი ხდება, რომ მისი განხორციელება საჭიროა მხოლოდ იმიტომ, რომ სამმა კომპანიამ („რუსთავის აზოტი“; შპს „ემ ენ ქემიკალ ჯორჯია“; შპს „სულფეკო“) მიიღოს სარგებელი. ერთადერთი სარგებელი რაც მოსახლეობამ შეიძლება მიიღოს ეს არის 15 ახალი სამუშაო ადგილი. არც ამ და არც სხვა ქვეთავებში არ არის წარმოდგენილი ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი; არ არის გათვლილი თუ რა სარგებელს მიიღებს მასახლეობა, ქვეყანა და პირიქით რა ზიანი შეიძლება მიადგეს ადგილობრივ მოსახლეობას თუ გარემოს პროექტის განხორციელების შედეგად.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

1.1.2 ადგილმდებარეობის ალტერნატივა

ადგილმდებარეობის ალტერნატივები ფორმალურად არის განხილული. სულ ორი ალტერნატივა იქნა განხილული. პირველი, უკვე არჩეული ადგილი წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას, ხოლო ქვეთავში განხილული მეორე ტერიტორია პირველთან ახლოს მდებარეობს. ალტერნატივების განხილვის პროცესში საერთოდ არ იქნა მხედველობაში მიღებული სამრეწველო ზონასთან ახლომდებარე დასახლებების პრობლემები, მათი პროტესტი რომელიც ბოლო წლებია გრძელდება.

1.2. კუმულაციური ზემოქმედება

საქმიანობა გულისხმობს ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა #2-ში გოგირდმჟავას საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას. საწარმოდან 500 მეტრის რადიუსში ფუნქციონირებს „რუსთავის აზოტის“ და შპს „ემ ენ ჯორჯიას“ საწარმოები. გზშ ანგარიშის მიხედვით, ყველაზე ახლოს დასახლებულ ტერიტორიას, სოფ. თაზაქენდი წარმოადგენს. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე გაკეთებულია გათვლები. ბოლოს შეფასებაში ნათქვამია, რომ მავნე ნივთიერებათა ზდკ კანონით დასაშვებ ზღვარს არ გადააჭარბებს. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ფონის სახით გათვალისწინებულია შპს „ემ ენ ქემიკალ ჯორჯია“-ს და სს „ეუ ინვესტმენტი“-ს ის მოქმედი წყაროები. აღნიშნული კვლევის სანდოობა ეჭვებს ბადებს შემდეგი მიზეზის გამო:

სოფელ თაზაქენდის მოსახლეობის ყოველდღიური ყოფა ბოლო წლების მანძილზე გაუსაძლისი გახდა უკვე არსებული საწარმოების ფუნქციონირების გამო. ადგილობრივები მუდმივად უჩივიან ჰაერის დაბინძურების პრობლემას. ისინი აღნიშნავენ, რომ ქარიან ამინდში განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა. მოსახლეობას აწუხებს ჯანმრთელობის პრობლემები. თითქმის ვერასოდეს ვერ იღებენ მოსავალს.

სოფლის გარშემო უკვე იმდენი საწარმოა, რომ რთული გასარჩევია რომელი უფრო მეტად აბინძურებს გარემოს. დამატებით კიდევ ერთი საწარმოს აშენების შემთხვევაში, დეტალურად უნდა იყოს შესწავლილი არსებული საწარმოების კუმულაციური ზემოქმედება და რამდენად გააუარესებს უკვე არსებულ სიტუაციას დამატებით კიდევ ერთი ახალი საწარმოს ფუნქციონირება.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 4 მაისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დაამტკიცა ქ. რუსთავში, იმავე ტერიტორიაზე შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯიას“ მანგანუმის სულფატის საწარმოს (ძირითადი არაორგანული ნაერთების წარმოება) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა. ამდენად, კუმულაციური ზემოქმედება ამ დაგეგმილ საწარმოსთან მიმართებაშიც განსახილველი იყო.

1.3. ტრანსპორტირების ზემოქმედება

არასრულყოფილად არის განხილული ტრანსპორტირების საკითხი. არ არის მოცემული ავტომანქანების მოძრაობის გეგმა/გრაფიკი. ნედლეულის შემოტანის, ასევე, მზა პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტი და სქემა განთავსების ადგილის გათვალისწინებით.

როგორც გზშ ანგარიშში ვკითხულობთ, კომპანია მაქსიმალურად ეცდება თავი აარიდოს დასახლებულ პუნქტებში გადაადგილებას და შემოვლით გზებს გამოიყენებს, თუმცა, გაუგებარია როგორ მოხდება ეს - ინფორმაცია ამის შესახებ არ არის წარმოდგენილი.

2. საჯარო განხილვა

2020 წლის 1 მაისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყანაში მოქმედი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, პს „სუფლეკოს“ ქ. რუსთავში, შპს ,,ემენ ქემიკალ ჯორჯიას'' მანგანუმის ოქსიდის საწარმოს ტერიტორიაზე ახალი ტექნოლოგიური ხაზის (გოგირდმჟავას წარმოება) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ის ანგარიშზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე განხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღება საჯარო განხილვის გარეშე მნიშვნელოვნად აზარალებს პროცესს, ვინაიდან ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება სწორედ საჯარო განხილვაა. საჯარო განხილვის გაუქმებით სამინისტრო ზღუდავს არა მარტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობაზე მოქალაქეების უფლებას, არამედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უფლებასაც.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს რომ საქართველოში საგანგებო მდგომარეობის მოქმედება 2020 წლის 22 მაისს დასრულდა. საგანგებო მდგომარეობის დასრულებიდან თითქმის თვენახევრის შემდეგ საგანგებო მდგომარეობით განპირობებული შეზღუდვები დაუშვებელია გახდეს გადაწყვტილების საჯარო განხილვის გარეშე მიღების საფუძველი.